


F 75  
1914

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# საქაჭულა



საქმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1914 ივლისი. № 14

# მზალო

საბავშვო ჟურნალი


№ 14.

1914 წლის

F 240




4.3.1



მხიარული მოცეკვავები.

# შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — შიარული მოცეკვაეები, — სურ. შორგანისა . . . . .	1
II — „ნაკალულის“ მკითხველები . . . . .	3
III — ბელურას ვერება, — ლექსი დ. ელიაშვილისა . . . . .	5
IV — ოქრო, — მაგისტა . . . . .	6
V — რომელია დამნაშავე, — კეცხოველისა . . . . .	14
VI — მერცხლები, — (თარგმანი) ნ. — ნ — ისა . . . . .	19
VII — ამოცანების და რებუსის აღსნა: . . . . .	24





შეთხველები.

- 1) ლეო ქუპარიტაშვილი, — სხინვალი. 2) ირინე ვაჩანაძე, — ტფილისი.  
3, 4 და 5) ლევან, ბეჟან და ელიკო ლორთქიფანიძეები, — ტფილისი.  
6) გოგი შალალაშვილი, — ბაქო.



## ბელურას ვეფრება.



მაწვილებო, მსემ რო სსივნი  
ღეღა-მიწას დაფურქვიან,  
ბუჩქის ძირას გაიფურქნა  
ეხმელა და ნახი ია.

ხომ-კი ვეკლას ვაკეხარდათ:  
კაზაფსულდა! — იძახოდით;  
ძინდორ-ველად, ტუე-ბაღნარში,  
მოუსვენრად ნავარდობდით!..

მეც ფრთა-ფრთასა შემოვვარი,  
ავსრიალდი მღლა ცაში, —  
'სამთრისაგან დასუთული,  
კავიძართუ უცუბ ტანში...

მიუვარს მწვანე მინდორ-ველი,  
მიუვარს ვარდი, მიუვარს ია;  
და ბუღბულის საბაჟური,  
კულ-წარმტაცი „ტია — ტია!“

დაფურინავ და თავს ვეკლები,  
'სურმუსტოვან არე-მარეს;

როგორც ძალ-მიძს—ლექსებს უძღვრ  
 ჩემ სამშობლოს ტურუფა მხარეს.

მაგრამ თქვენ-კი, უძაწვილებო,  
 სულ ერთავად მეტყერებით,—  
 როს დაუჯდები, მაძინათვე  
 უკან მოძღვეთ ჯოსით, ქვებით.

მეც სომ ძინდა ვინეტარო  
 გასაფხულის სურნელებით;  
 თვით უფალი მოვიხსენო  
 მადლობით და დიდის ქებით...

მაძ, რათ მდევნით, გეთაუვანეთ,  
 რისთვის ძინძობთ ნეტარებას?..  
 რომ მოვხუცდე და თვით მოგვედე,—  
 რათ არ მაძღვეთ აძის ნებას?!

ნუ, გენაცვათ, შეძიბრაღვით,  
 ნუ მოძინძობთ სიცოცხლესა;  
 მსურს რომ თქვენთან ერთად ვმხერდე  
 გასაფხულის მბრწეინავ მხესა!..

დ. ელიოზიშვილი.





## მ ძ რ მ.

(ნამღვილი ამბავი.)



ედა, დედა, უუურე—რა კარგია, სულ  
 ზაწაწკინაა!—მესობლის ქალმა მოგე-  
 ცა—თქვენ გეპედესთო.

ამორბინეს ბავშვებმა აივანსე და  
 მივარდნენ დედას. დედამ ვერ ბავშვე-  
 ბის სიხარულით გაშუქებულ სახეს  
 შესედა და შეძღვე მენიშნა უფროსი

ვაეის ხელში მოეფითალო, წირზლიან-თვალეებიანი, გამხდარი  
 კნუტი. შეშინებული კნუტი საცოდავად გამოიეურებოდა.

—სომ მშენიერია დედა, სომ ლამაზია? —დაევაკებით  
 სთქვა უფროსმა და სურგსე ხელი გადაუსვა.



დედას ღიმილი მოურია, მაგრამ რომ არ ეწეწინებოდა ბავშვებისთვის, საჩქაროდ წარმოსთქვა: — მშვენურია!

— ეს ახლა სულ ჩვენთან იქნება, — დინჯი, ბოხი ხმით დაუსტა ჰატარამ: მისი დედა...

უფროსმა ჯღარ დააცაღა:

— მისი დედა და ორი ძმა მოკვდა, ეს ერთი დარჩა; ობოლია, საწყალი!

— რითი მოკვდა? — იკითხა დედამ: იქნება ესეც ავადმყოფია. რა წიწვლიანი თვალები აქვს.

— არა, დედა, მშვენური თვალები აქვს. ამისი დედა უცებ მოკვდა და ძმები შიშხილთ დაიხოცნენ, — საჩქაროდ წამოიძახა უფროსმა.

— დედა რომ მოუკვდა, ბევრი იტირა: იტირა, და აძიტომ აქვს თვალები ასე, — სთქვა ჰატარამ.

დედა სიცილით მოეხვია ბავშვებს, აკოცა და უთხრა:

— მამ კარგი, დარჩეს; მაგრამ გახსოვდეთ — ეს თქვენი შვილია, და თქვენვე უნდა მოუბროთ.

— კი, დედა: სულ ჩვენ მოუვლით!

გახარებული ბავშვები დაუფაცურდნენ. გამონახეს დიდი ქალღმრთის კოლოფი. ამოაღეს კამოდიდან, რაც ნაჭრები იყო, მკეკრეს ბნლიში, კატუნეს ბამბით, ერთი დიდი ნაჭერი საბნისთვის შემოინახეს, საწვინეს კნუტი და ახლა მოაგონდათ, რომ მას ჭმევა უნდოდა. გაიქცნენ განჯინისკენ, მაგრამ სარძევე ცარიელი დაუსვდათ.

— იცი? — სთქვა ჰატარამ: — ხვალღან რძეს ნულარ დაუღვთ: — სულ კატუნის დარჩეს.

— დედა მოკვცემს უულს რმისთვის... — და უფროსი ვაჟი მამინათვე გაიქცა დედასთან. უმცროსი მოუჯდა კატას და აღერსი დაუწყო.

კნუტი ერთ კუნჭულს მიეკრა, სურვი აიწურა, აძირისა,



თითქოს მტრის მოსაკრებლად ემზადებო. ბავშვმა ალერსით აიყვანა სკელში და მისი თათები ლოკებზე მიიდო. კნუტს ეს ვერაფრად ესამოყენა და აბეზარ მოალერსეს მკვრად ჩამოუსვა ბრჭყალები. ბავშვი შეკრთა, კნუტს ხელი გაუშვა, დავეირობა მოინდომა, მკვრამ უცებ შეიმკვრა თავი.

ამ დროს ძმამ რძე შემოიტანა, ლამბაქსე დახსნა და კნუტს წინ დაუდგა. მშვირმა კნუტმა, რომის სუნი რომ იკრძნო, ეველბფერი დაივიწყა და სარბი ფრუტუნით დაუწყო ლოკვა

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ძამიდა შემოვიდა და კატის გვერდით ფეხმოკეცილი ბავშვების დანახვაზე ღიმილით შეჩერდა.

— ეს ლოკები რამ დაგიკაწრა? — აუწია მან სახე ზატარას.

— არაფერმა, ეს ასე მქონდა, — შეეცადა ტუვილის თქმას ბავშვი, მკვრამ ძამიდას დამცინაუ თვალებს რომ თვალი გაუსწორა, სახე შეუწითლდა და საჩქაროდ წამოიძახა: — ეს სხვა კატამ დამფსაჭნა, ესოში რომ დიდი კატაა. ძამიდას გაეცინა და ოთახიდან გავიდა.

კნუტი გაძღა, ტუხები გაილოკა, ბალიშზე მოიკადათა და ძალე ჩასთვლიძა. ბავშვები ჩაჩუკებული ისხდნენ, ალერსით დატურობდნენ და ერთმანეთს ჩუროხულით ელანარაკებოდნენ.

— რა დაჯარქვათ?

— ფისო.

— არა, ფისო, არა!

— ციცუნია?

— არა, იცი — ოქრო დაჯარქვათ; ოქროს ფერი ბეწვი აქვს, — გადსწევიტა უფროსმა.

უცებ კარები გაიღო და ოთახში სიმღერით შემოვიდა ახალგაზდა ბიძა.

— სუუ... ს-ს-ს... — დაუქნიეს ბავშვებმა ხელები: — სმინაჟ!

სიძღვრე შეწუდა. ბიძა ფეხ-აკრეფით წამოვიდა ბავშვებისკენ:

— ვის სძინავს?—იკითხა მან ჩურჩულთ?

— კატას.

ბიძამ სმა-ძაღლა გადაისარსარა. კატა შეერთა, თვალები გაახილა და ზეზე წამოხტა.

— ეჰ, არ გრცხვინია, კაბლეიკე; ხ.წუალი შემინდა!—უსა-  
 ევედურეს ერთსმაჯ ბავშვებმა და კატას მიაშურეს. ბიძია-კი  
 იცინოდა.

ნახადილევს დედა სასეირნოდ მორთული გამოვიდა ბიჯან-  
 სე და ეხომი მოთაბაშე ბავშვებს გადასძახა:

— აბა, დაიხურეთ ქუდები და წაფიდეო.

ბავშვებს ძალიან უეუარდათ სეირნობა და გახარებულნი  
 გამოქანენ დედისკენ, მაგრამ უცებ უფროსი შეჩერდა:

— მე არ წამოვალ სასეირნოდ, —სთქვა მან.

— რატომ?

— კატას მოსწუინდება.

— ჰო, კატას მოსწუინდება. არც მე წამოვალ, —დაუმატა

მეორემაჯ.

დედას გაეცინა:—წამოიუვანეთ კატაც.

— შეიძლება?

და გახარებული ბავშვები კაიქცნენ ქუდებისკენ.

ბავშვებს ახლა ოქროს მეტი აღზარაფერი ახსოვდათ. მთე-  
 ლი დღე თავს დასტრიალებდნენ, ეაღერსებოდნენ, სუელ მასზე  
 ლაპარაკობდნენ. სტუმარს კარებშივე მიახარებდნენ:

— ჩუენ კატა გეუავსო.

ერთხელ მამამ სუპრობით უთხრა:

— კრეად გაუფრთხილდით: ეს თქვენი ბედაური ოქრო  
 თაკეებმა არ შევიჭამოთ!

ბავშვებმა ეს კარგად დაიმახსოვრეს და თვალს აღარ აშო-

რებდნენ. დილით, გაახელდნენ თვალს თუ არა, ჰერანგის მძღვენი  
 რა მირობდნენ ოქროს სანახავად და, თუ თავის ლოკინში  
 არ დახვდებოდა, უველა ოთახებს შემოირბენდნენ მის ძებნაში.  
 უფროსებს გაეღვიპებოდათ და უჯავრდებოდნენ ბავშვებს, მაგ-  
 რამ ისინი უკვე მეორე ოთახში იუვნენ და საკვადური მათ  
 უურებს ვერ სწვდებოდა. დარბოდნენ ასე, სანამ კატას ნახავ-  
 დნენ. საღამოს დაწოლა ასლა აღარ ესარებოდათ. თუ წი-  
 ნეთ, სან სვეწით, სან გაჯავრებით, ძლივს აწვენდნენ თავის  
 დროზე, ახლა, ზირ-იქით, სისხარულით მირობდნენ უფრო ად-  
 რეც: ცდილობდნენ ერთმანეთისთვის მოესწროთ ტანისამოსის  
 გახდა და საჩქაროდ ლოკინში ჩაწოლა.

ვინც ზირველი დაწვებოდა, კატაც იმას ერკებოდა; მაგრამ  
 სან-და-სან მანც მოუვიდოდათ ჩხუბი კატის გულითვის და  
 იმდენს იდავებდნენ, სანამ ვინმე უფროსი არ გაიგონებდა და  
 არ გაიუვანდა კატას ოთახიდან. მამინ-კი ორავე ტირილს  
 ასტყნდა: შუკვცოდებით და კატას დაგვიბრუნებენო. ამ ტირი-  
 ლში ჩაემინებოდათ კიდევ.

• ზირველ სანებში კატას ძალიან უეჯარდა ძილი და ამის  
 გამო არა-ერთხელ მოსვლიათ უსიამოვნება ბავშვებს დიდებთან.

— თითონ რომ სძინავთ, ხომ გვიჯავრდებიან—ჩუმიად  
 რატომ არ ხართო, და კატა-კი არ ეცოდებოთ: დადინ და  
 ლაზარაკობენ, ვითომ კატას არ სძინავდეს?

— ამ კატის გულითვის დღე ოთახში გავლა არ შეგვი-  
 ძლია; ღამე კნავილით არ გვამინებს; ლაშქები მუდამ დათ-  
 ხუნნილია: სან ერთსე აჭმევენ საჭმელს და სან მეორესე,—  
 უსაუვედურებდნენ ახლა ბავშვებს დიდები.

მსოლოდ კატა იყო არხეინად. თვალები გადაეწმინდა,  
 მწვანე ლენტით კისურზე, ცოტათი მოსუქებულ-მოლონიერუ-  
 ბული მხიარულად და დაკუნტრუშებდა, სვამდა გემრიელ რძეს



და იძინებდა, რომელ ბალიშზეც მოეწონებოდა. თუ ვინმეს მძინარეს ნახავდა, კისერზე გადაწვებოდა და ტებილად ხვრინავდა.

ერთხელ ბავშვებმა იპოვეს ჰაწია მკვდარი თავი და ოქროს მოურბენინეს. თუმცა ოქრო ჯერ ისე ჰატარა იყო, რომ ცოცხალ თავს შეუძინებოდა, ფრუტუნით მივარდა, სტაცა ჰირი, კუთხეში მძინარენინა და სამინელი სინარბით დაუწვო ჭამა, თითქოს ეძინოდა — არაფერ წამართოსო; აქეთ-იქით გაფაციცებით იუერებოდა და, თუ ვინმე გადმოგვამდა ფასს მისკენ, კბილებს კრეჭდა, ამირისებოდა და გაბრახებულად ფრუტუნებდა. ბავშვები კაცებულნი შესცქეროდნენ ამ სახარელ სურათს. როგორ გამოიცვალა ასე ჰატარა, სუსტი და ნახი ოქრო; როგორ გახდა უცებ ასეთი ანხელი და მსუნავი.

თავისგან მხოლოდ კუდი-და დარჩა, მაგრამ ოქროს გაღვიძებული მადა ვერ დააკმაყოფილა მისმა ჰაწია სხეულმა. კატა აღელვებული დადიოდა და სუნავა ეოველ კუნჭულს, კნაოდა, თითქოს რაღაც დაკარგა და სწუსსო.

მაგრამ ეს გაუძაძღრობა მძიმედ დაუჯდა ოქროს: მისმა ნორჩმა კუჭმა ვერ მოინელა არა-ხეველებრივი მაგარი საჭმელი და თითქმის მოყლი დღე აუბდა იყო. ბავშვებს თუმცა ეცოდებოდათ, მაგრამ ის როგორღაც გამოიცვალა მათ თვალში: თითქოს წინანდელი ოქრო აღარ იყო, არ იყო ისე სუსტი და უძლეო, როგორც წინეთ ეჩვენებოდათ.

გავიდა დრო. ბავშვების გონება სხვა საგანმა გაიტაცა. ოქრო ისევ უუვარდათ, ეალერსებოდნენ, როცა წააწედებოდნენ სადმე, მაგრამ ხან-და-ხან ავიწედებოდათ. არა-ერთხელ მომიუბია და მისწეურებია ოქროს, მაგრამ ბავშვები ხან სასეირნოდ იუენენ წასული, ხან ესომი თამაშობდნენ და არ ესმოდათ კატის ჩივილი, ხან რძის შენახვაც დაავიწყდებოდათ. მწვანე

ლენტიც კარგა ხანია აღარ უძუკენებდა კისერს; ცოტათი სდა, მუცელიც დაუწვრილდა.

ერთ საღამოს მძიერი ოქრო მოწვენილი იჯდა ოთახის ერთ კუჩუღლში. უცებ კარებში თავი შემოჭყო დიდმა მავმა კატამ, მოკრძალებით გადაავლო თვალი ოთახს და, რა დარწმუნდა, იქ ადამიანები არ იყვნენ, დაიკნავლა რაღაც შეწუსებული, საცოდავი ხმით.

— ეს ვინა კატა? ჩვენი ასე არ კნავის: რა უსიამოვნო ხმა აქვს, — სთქვა დედამ, რომელიც მეორე ოთახში იჯდა და რაღაცას სწერდა. კნავილი უცებ შეწედა და დედამ წერა განაკრძო. სულ სხვანაირად ეჩვენა კატის კნავილი ოქროს: მას თითქოს მოაკონდა რაღაც დავიწყებული... განა ასე არ უხმობდა მას მისი საუკუნო დედაც? ამ კნავილში მან იგრძნო დედობრივი მზრუნველობა, ურუბი სცქვიტა, კუდი შეათამაშა- და სწრაფად მიაშურა ახალ-მოსულს.

ცოტა ხანს შემდეგ ნახევრად ბნულ ოთახში შემოსულა ბავშვებმა დაინახეს უცნობი შავი კატა, რომლის ტუპუს ხარბი ფრუტუნით მიჭკვროდა ჰატარა ოქრო. კატა-კი ალერსით ულოკავდა ზურგს; მაგრამ ამავე დროს კატამაც დაინახა ბავშვები. უცებ ისკუპა და გადახტა ფანჯარაში.

ბავშვები რამოდენიმე ხანს გაშტკვრებულნი შეჭკვრებდნენ ერთმანეთს.

— ვინაა ეს კატა? საიდან მოვიდა? რა იცოდა, რომ ოქროს დედა არა ჰქავს და ტუპუს ჰჭკვავ უნდა? — გაკვირვებით ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს. ცოტა არ იყოს შერცხვავ კიდევ.

მაგმა კატამ თითქოს მოაკონა მათი მოვალეობა, თითქოს უსაუფლოდურა: — არა გრცხვენიათ — საბრალლო ჰაწია კნუტი მძიერი კეპოთო?

ეს ამბავი დიდებსაც გაუკვირდამ და გადასწუვიტეს მოქმედებით კეთილი კატა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირებიათ. მეორე დღით ისევ გაისმა შეწუხებული კნავილი. ოქრო ამ დროს თავის საუსმეს შეექცეოდა, მაგრამ სწრაფად მიატოვებდა და ახლად შეძენილ დედის ძეგრებს ეცა. დიდმა კატამ-კი მის საუსმეს დაუწეო ჯამა. ბავშვები ფრთხილად ძიქანლოდნენ და შორი-ახლოს შეხერდნენ. კატა შეწუხდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ ბავშვები არას ერხოდნენ და გაუბედავით განაგრძო ჯამა. ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ ის ძალიან მძიერი იყო და კიდევ მოუტანეს საჭმელი.

ამის შემდეგ შავი კატა მოდის უოჯულ დილა-საღამოს და უძახის თავის შედგობილს. ისიც, გაიკონებს თუ არა სანატრელ ხმას, კუდს მღება აიძვერს და გახარებული გაეშურება ტბილი საუსმისაკენ. ბავშვებსაც უხარიათ დიდი კატის მოსვლა და უოჯულთუის ბლომად აჭმევენ. არაუინ იცის ვინია, სად ცხოვრობს, რატომ აქვს ასეთი შეწუხებული თვალები, რად გამოიყურება ასე გაუბედავად და შუდამ მზად არის გაიქცეს. აქ მას არაუინ სდევნის, არაუინ უჯავრდება, ზირიქით—ეველა აღერსით შესცქერის და ცდილობს ასიაძოვნოს.

ოქრო დიდ ფუფუნებაშია. ბავშვებს აღარ ავიწყდებათ მისი მოვლა. დედობილიც არ აკლებს ზრუნვას. ოქრო წამოიხარდა, გასუქდა და თა-და-თან ლამაზდება. როცა ვსოში სვება თავის ტოლა კნუტებთან ერთად მხიარულად სტუნაობს და კუნტრუბობს, ბავშვები სიუჯარულით შესცქერაინ და ამბობენ:—ნამდვილი ოქროაო.

მაგია.



## რომელია ღამნაშაპი.

**გ**აფხულის შუა დღე გადასულია. მზე თავის საფხვე მძლით უკსაუნის მხურვალე სხივებს კარინდებულ დედაძიწას. სის ფოთოლთ შრიალი შეწვეტილია; ნიაუსაც ხადდაც ჩრდილში დასძინებია, რათა, კამოფსიხლდეს საღამოს ქაშს და, თვითონ კამოძინებულმა სხვას ძილი დაუფანტოს. ისმის ჭრიჭინების და კალიების გაბძული ჭრიჭინი.

სიჩუქა, და ხანდისხან ამ სიჩუქეს მუქების გამამხნევებელი მოძახილი თუ არღვევს. სოფლის ვუნახების ორდობეში ლექსოს და გოკიას მხიარულად მოუდით ბატები; ბავშვები იცინიან.

ბატებს თავი აუღიათ, ეყენით გამწკრივებულან და ბლეთ თავიანთ ახირებულ ზატრონებს ემორჩილებიან, რომელთაც მოზრდილი მინდის წკვლეები უჭირავთ და უთავაზებენ ბრალიანს და უბრალოს.

ლექოსაც და გოციასაც ზურ-უველი გამოუკრავთ ჩაბაღანებში და მხარზე გადაუკიდიათ, ეტუობათ—ბინდამდე სახლში აღარ დაბრუნდებიან.

— ბიჭო, გოცი! კატკატის ბუდიდან, გისი ზირად რომაა, ბარტეები აძოუსნათ.

— მართლა, დასაფრენები იქნებიან კიდევცა; დიდი ხანია იმათი ხმა შესმის.

— ჰო, შენი გულინა; თითოში ორ კვერცხს მანც მოკვებენ.

— ჩვენებიანთ ფეფემ მითხრა: ოღონდ კატკატის ბარტეი მომიფანე, და ოთხ კვერცხსაც მოკცეო.

— უი, შენი გულინა!

შეითაძა და შეიკუნტრუმა სინარულის ნიშნად ნასიამოვნებმა ლექსომ და თავისი კმაყოფილების ნიშნად ერთ ჩამორჩენილ ბატს სახრე უთავაზა სიცხისგან ძირ-ჩამოკრილ ფრთებში.

— ეს კია—ბუდე ქაცვება და როგორ ავიდეო?—სთქვა გოციამ, როცა ბუდე ახლო დაინახა.

ბუდეს მართლა ძალე მიუახლოვდნენ, ბატები ერთად მოაქუნეს ჩრდილში, სადაც მსწრაფელ დაუვარნენ სისინით და დიდი სიამოვნებით დამორჩილდნენ თავიანთ ბატონ-ზატრონებს.

გისი ზირას, ღობის ძირში, ბორჯღლიან-ეკლიანი კაი მოზრდილი ქაცვი იდგა და ერთ ტლუდ წასულ ტოტზე მართლაც კატკატის ბუდე იყო.

— ჩემი ძტერი ავიდეს ამისთანა ქაცვზე! იმაზე ასვლა თრი-

თინასაც-კი გაუჭირდება, არა თუ კაცს, ისეთი ეკლებითაა და-  
 ლა ქაცვის სე შემოს-ღ-შებორბლილი.

ჟურა ჰბედავდნენ ასულას; მაგრამ სუბრობა სომ არ  
 იყო: თითო ბარტეში ოთხ კვერცხს აძლევდნენ და ოთხში-კი  
 ოთხჯერ ოთხი იქნებოდა. აძენ დაელის დაკარგვა-კი მათთვის  
 დიდი სარალი იქნებოდა.

— მე ავალ: რაც იქნება იქნება!—მღივს გაბედა ბო-  
 ლოს ლექსომ, მოსჭიდა ერთ ტოტს სელი და ძირი როგორც  
 იყო მშვიდობით აიარა; როცა თავი შეჭყო ტოტებში, იცოც-  
 ხლე, მაშინ ეკადრა „ვაიმე დედას“ დამხეება და მსწრაფლ ძირს  
 ჩამოსტა. ლოვაში და უურში ეკალი შერჭობოდა, სისხლი წითელ  
 სოლად ჩამოუდიოდა ლოვასე; ეს ვითომ არაფრად მიიჩნა  
 და კიდევ იძახოდა—მაინც ავალო, მაგრამ ასულას-კი აგვიან-  
 ნებდა და ფიქრობდა იქნება გოგია ავიდესო, მაგრამ გოგია-  
 ნაც აღარ უნდოდა, რომ ლოვა შესწითლებოდა ლექსონაჯით  
 და მსოლოდ ქვეიდან შეჭურებდა; თითქოს რაღაც ეჭვიც შე-  
 ეპართ: ბუდიდან ბარტეების ხმა არ ჩამოდიოდა, თუცა დი-  
 დი კაჭკაჭი შეიდან დაჭკაჭკაჭებდა.

— გამარჯვება, ბალებო, — გამოეხმაურა ბუდის ძტრებს  
 ვილაც უცნობი; ეტეობოდა—მგ საზრი იყო.

— გადღეგრძელა ღმერთმა! — უმასუნა ორთავემ.

მგ საზრი დააცქერდა იმათ, რაღაცას თქმა უნდოდა მაგ-  
 რამ-კი ვერ ამბობდა.

— ეპაბლანში თუ ჰური გაქვთ, ცოტა მეც მიწილადეთ, —  
 გაბედა ბოლოს.

— ი, ეს ტოტი დაკვიწიე, სადაც ბუდა გაკეთებული,  
 და გაჭმეთ.

მგ საზრმა აათვალ-ჩაათვალა იერა ქაცვი; მიწვა ეხნელებოდა;  
 მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, ტოტს სელი მოსჭიდა, თუცა



კვლები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ, კადმოწვეა მესმლო!

მაგრამ მესეთ ლექსოს და გოციას გაკვირვებას: ბუდში არა თუ ბარტყები, ერთი ბარტყის ხასხიც-კი აღარ იყო.

გაკვირვებით ვადახედეს ერთმანეთს.

— დაუფრენია.

წამოუარეს ბატებს წასახსმელად. მკ'საფრი-კი უეურება, არაა ხნადინ: დანაპირებს ასრულებენ თუ არაო.

— ბარტყები რ.იმ არ იყო, რად უნდა მოკცეთ,—უთხრა გოციამ, თითქოს გაიგო მკ'საფრის გულის ნადებო.

— მართალია, რომ არ იყვნენ,—დასძინა ლექსომ.

მკ'საფრმა არა თქვა-რა და იქვე სის ჩრდილში დაწვა.

F494



— ბიჭო, გოცი, რატომ არ ვაჭამეთ ზური?—უთხრა ლექსომ გოციას; თითქოს სინდისის ქენჯნა იგრძნოყო.

— მაშა, იქნება როგორა შიოდა.

— ხომ დაგვიწია, და ჩვენც უნდა მიგვეცა.

— მოდი ახლა წაუღებ, — წამოიძახა გოციამ და გამოტყუსლა ქვემოთეგნ, სადაც მკ'საფრი ეკულებოდა. საჩქაროდ მოვარდა ქაცვის ძირს, მაგრამ მკ'საფრი იქ აღარ იყო. შიათვალ-მოათვალეირა იქაურობა, მაგრამ ამაოდ: მკ'საფრი არსნდა სწანდა.

— წასულა, — გულ-დანწვევით სთქვა გოციამ და დაეღვენა. ისევ ლექსოს.

— მიეცი? — შეეკითხა ლექსო.

— არა; იქ აღარ იყო.

— ეს შენი ბრალია სულა, აი.

— ჩემი-კი არა — შენია: შენ რომ არ გეთქვა — არ მოგცემთო, მე შინც მივყავდი, — მიუგო გაჯაფრებით ვოვია.

— შენ რომ ჰირველად არ გეთქვა, არც მე ვიტყოდი — ვოვია მართალია შეთქი, — უპასუხა არა-ნაკლებ გაჯაფრებულმა ლექსომ და გულ-მოსაფხანად ბატებს ერთი-ორი გაუტელაშუნა.


დღესაც არ იცინან — რომელია დამნაძავე, და ხშირად კამათობენ: შენი ბრალია, ჩემი-კი არა-შენიაო.

### 6. კეცხოველი.





## მ მ რ ც ხ ლ ე ზ ი.



აბრუნდნენ მერცხლები სამშობლოში და მაშინვე შეუდგნენ თავიანთ მარმანდელ ბუდის ძებნას. მაგრამ ბუდე-კი არა, ის სახლიც-კი ვერ იპოვეს, სადაც ჭერ-ქვეშ ბუდე ჭჭონდათ გაკეთებული.

— ჭიკ! — დაიჭიკჭიკა ერთმა მერცხალმა. — სად დაიკარგა უკვლავური?

ნაცარა, ჩასუქებულმა ბელურამ, რომელიც იქვე მტვერში ვურეუშადაობდა, მაშინვე სცქვიტა ვურები, გაიბერტვა ფრთები და მერცხლებთან გაჩნდა.

— აგარაკი აღარ ვახსენებ: უკვე დაიჭირეს უკვლა; დაიკვიანეთ, ბატონებო. მართალია ბევრი იყო, მაგრამ სულ დაირიგეს... რაც აქ მოძიები და მერცხლები მოაფრინდა — რა აუთავადებოდათ. და თქვენ რომ სახლს ეძებთ — ის-კი დაიწვა.

— რაღა ვქნათ ახლა, — დადონდნენ მერცხლები, — ახალი ბუდე უნდა გავიკეთოთ, აი იმ სახლსე მოხერხებულია...

— მე, ბატონებო, შემძლია თქვენისთანა კარგ სახლს ჩემი ბინა დავითმოთ!.. ოჰ, მშვენიერი ბუდე ვახსენებ!.. სამაგიეროდ მთელი საფხელის განმავლობაში მე და ჩემი ცოლი უნდა ვაპრჩინოთ, — სხვა არაფერია საჭირო, — უთხრა ბელურამ.

— სადაა შენი ბუდე?

— მობრძანდით, ბექო, საბძელთან-ეკავარ ქვეშ... აი, ინებეთ ნახეთ!.. ბეღურა მიფრინდა საბძელთან და უჩვენა ორ ეკავარს შუა ადგილი. მერცხლებმა ზირი დააღეს...

— ეს რა ბუდეა: უბრალო ხვრელია!

— მაშ თქვენ სასასლე გნებავდათ, — იწვინა ბეღურამ. — იყო ისეთი ბუდეებიც, და აღარ გახლავთ: დაიჭირეს...

— არა, — სთქვა დაფიქრებით ერთმა მერცხალმა: ეს ჩვენ არ გამოგვადგება. მხოლოდ ერთი კარგი მოხერხებული ადგილი ვნახოთ ჭერ-ქვეშ, და ბუდეს ჩვენ თვითონ ვაგაკეთებთ თინითა და ხერწყვით.

— სწორედ თინითა და ხერწყვით, — კვერი დაჭერა მორე მერცხალმაც.



ბეღურამ გადისარხარა.

— არაფერიც არ გამოვა, — სთქვა მან. — ამას კარდა იქ კატაც დამრწის; ცაცხელიც შეიძლება გაუჩდეს სახლს; წვიმაც საძოაჯანს; ბავშვებიც კეთილს ხომ არ დაკავრიან.

მერცხლებმა ურადღება არ მიაქციეს ბეღურას, ამოარხიეს კუთხე ერთი სახლის სასურავ ქვეშ და შეუდგნენ მუშაობას



## II

ნამდვილი სელოვანნი კამოდგენ მერცხლები ერთმანეთში არეულ თიხისა, სმელი ჰაწია ჩალის და ბალახის ნაფცქვე-  
ნისაგან მტკიცე ბუდის აკებაში. ბელურა, რადგანაც სხვა სა-  
ქმე არა ჰქონდა რა, უუერებდა იმათ და დასცინოდა.

— თიხისა და ნერწყვისაგან! — ხა, ხა, ხა, — კაი ბუდე-კი  
კამოვა!.. — ამბობდა ის, სახურავის ნაპირ-ნაპირ სტუნაობდა  
და თანაც ბუდეში იცქირებოდა ..

— ნოტიო იქნება, ჭუჭუიანი!.. მე ნისკარტსაც-კი არ მე-  
ვოფდი ამისთანა ბუდეში. მერცხლებს-კი დამიხედეთ!..

მერცხლები ურადღებდასაც-კი არ აქცევდნენ მის ლაპარაკს  
და განაგრძობდნენ მუშაობას. რამოდენიმე დღის შემდეგ სახუ-  
რავ ქვეშ უკვე კვიდა დიდი, სრული, მუქი ფერის, ბურთივით  
რკვალი, ლაძის ბუდე. ბუდეს ჰატარა, რკვალი შესასვლელი  
ჰქონდა. ბელურამ დაინახა, დაფიქრდა, კულ-მოდგინედ დაათვა-  
ლიერა და სთქვა:

— შესანუადვად არა უძავს რა!.. აქ ცხოვრება შეიძლება... მა-  
გრამ საქმე ისაა — როგორია მიცნით!.. შეიძლება ვნახოთ?

• — ინებეთ!.. მობრძანდით: ძალიან სასიამოვნო იქნება, —  
მიუგეს მხიარულად მერცხლებმა.

ბელურამ დაეძახა თავის ცოლს და ორივენი შემერნენ ბუ-  
დეში.

— ბუდეს არა უძავს რა: სედაჟ — რა კარგად გაუმარ-  
თავთ, — წასწურულა ბელურამ ცოლს.

— ეს ნამდვილი ბუდეა: ჩვენ ხერვლს როდი ჰკავს, — მიუ-  
გო ხურხულითვე ცოლმა, — ჩვენსაში წვიმაც ჩამოდის, ქარიც  
ქმუის...

— მოდი დავრჩეთ, აქ ვიცხოვროთ, — სთქვა ბელურამ.

— აბა, როგორ მოგეწონათ აქაურობა? — ჰკითხეს მერ-  
ცხლებმა.



— იცით—ურიკო არ არის!— მიუგო ბელურამ ბუდინს:— იმდენად კარგია, რომ აქედან არც-კი წავაღო, ამ ბუდინს თქვენ აღარ მოგცემ და თვითონ ვიცხვორებ მიც.

— როგორ შეიძლება,— გაცდინე მერცხლები.

— ისე, როგორც ხედავთ,— არ კავალთ ჭ ეს იქნება. თქვენ სხვა ბუდე კავიკეთო: რა დიდი საქმა — თინითა და ნერწყვით, თინითა და ნერწყვით; ხა—ხა—ხა! — გადინარხარ ბელურამ.

— ნეტავი, თუ მართლა ამბობ?..

— მართალს, მართალს მოკახსენებ, ჩემო კარგებო... ასე რომ სომარადაც მხად ვარ ამისთანა ბუდინსთვის.

### III

მერცხლები აღშფოთებული იყვნენ. სამხინელი ჭვივილით დასტრიალებდნენ თავს ბუდეს და ღელავდნენ. ბელურა-კი გემოიჭიბა ვაჟბატონით ბუდეში და უთხრა ცოლს:

— აბა, დედაკაცო, გაფრინდი ერთი ხელად ჩვენ ბუდეში, მაგროვე რაც რომ ბუმბული ჭ ფუჩიანა და ჩქარა აქ მოიტანე, \*ბუდეში დაფუინოთ, რომ რბილი საცხვორებელი გქონდეს.

ცოლი გაფრინდა, თვითონ-კი დარჩა ბუდეში და მხად იყო კოველ წუთს მებროლეობდა, ვინც მის გამოკლებას შეეცდებოდა, თანაც ცნობის მოუვარეობით გასცქეროდა. — რას იხამენ ასლა ბუდის ზატრონი მერცხლებიო.

მერცხლები-კი დაფრინავდნენ და გულსაკლავად ჭვიოდნენ, თავიანთ შწუნარებას გამოსთქვამდნენ. ჩქარა მათთან მოგროვა და მთელი გუნდი მერცხლებისა. შეიქნა ერთი აღიბქოთი: გაჭქონდათ ჟრინაშული, თითქოს რაღაცაზე თათბირობდნენ. ბელურა-კი ხელა იცინოდა თავისთვის: თავისი ძალ-ღონის იმედი ჭქონდა და არაფრის არ ემინოდა.

ბოლოს ერთი მერცხალი მიფრინდა ბუდესთან ჭ დაუგვირა:

— მამ არ წახვალ შენი ნებით, ავაზაკო?

— არ კავალ, და არც ავაზაკი კახლავარ! მე სწორედ ნამდვილი ბელურა კახლავარ,—აი ვინ ვარ!—მიუგო უკმუნად ბელურამ.

— აბა, ნახავ რაც მოკივა.

— კარგი, ვიცით!—ჩაიხიხინათ ბელურამ,—არ გვეძინია. მსდელი არ კახლავართ. და მანც რას გვიხამთ ნეტავი!

ამ დროს მიფრინდა ერთი მერცხალი რგვალ ბუდის— შესასვლელთან; ნისკარტში თხელი თიხა ეჭირა და—ტყან!— ჩააკრა ეს თიხა ბუდის შესასვლელს. მას მიჰყვა მეორე, და იმანაც ჩააკრა თიხა,—შემდეგ შესამე, მეოთხე და მთელი გუნდი ერთი მეორესე მიდიოდა და აკრავდა ნისკარტით თიხას, ბელურამ ვერც-კი მოახწრო მოსაზრება, რომ ბუდის კარები სრულიად ამოკლისეს თიხით და ბუდე შიგნით სამუდამსავით დაბნელდა.

ბელურას შეეძინდა; უნდოდა გამოეჩერია ამოღესილი ადგილი, უცა ნისკარტით, მაგრამ ნისკარტი ჩაყვლა წებოიან თიხაში.

\* — ვაი, ვაი, ვაი!..—დაიწრიზინა მან.—ღმერთო მოწყალეო!.. რას მიპირებენ ეს ავაზაკები: ასე სომ დავიღრწობი.

მერცხლების ქურტული ურუჯ მოისმოდა, თითქოს სადღაც შორიდან ისმისო. ბელურამ დაიუვირა;—მისი ხმაც კაი-სმა ურუჯ; სული ესუთებოდა: სიმწარის ოფელს ასხამდა.

— ძმებო, ჩემო კარგებო!.. თქვე ავაზაკებო, მავკუდიანებო! დაიღრიალა მან მწარედ,—შეიძლება ასე ცოცხალი ბელურა გამოადრწოთ.

— რაო, მე ავ-გულო: კარგი, სამყოფია ბუდეში?—გახმანოდნენ მერცხლები.

— ჰეი, თქვენ გესმით, გამოჩინქეთ ახლავე თიხა! გამო-მიძვით აქედან, მერცხლებო, მშვენებებო, საუკარლებო!..

მერცხლის მთელმა გუნდმა ერთხმად ეიყინით გასცა ზანქი  
 — აჭა, შენ ავახაკო: კიდევ წაართმევ სხვას ბუდე?  
 — არა, არა!.. ახლავე გაგეცლებოთ!.. გამოჩინეთ კარუ-  
 ბი, სუნთქვა მიძელებება, სული მიწუნს!—ევიროდა გიჟივით  
 ბელურა.

მერცხლებმა დასცეს ეიყინა, აჭიკჭიკდნენ, დაფაცურდნენ  
 და შეუდგნენ ამოკლებილ ბუდეში შესასვლელის გამოჩინქნას.  
 ბელურას ციებიანსავით აცახცახებდა. თვალები შიშისა-  
 გან ანთებოდა, საშინლად აბურბურნილიყო და შიშივდ ქმინავ-  
 და; სრულიად სველი და ტალახიანი გამოძვრა ის ბუდიდან  
 და ქვასავით გადმოვარდა ძირს ბუჩქებში.


მერცხლები-კი სვეით მსიარული ჭიკჭიკით ულოცადნენ  
 ერთმანეთს გამბრჯუებას...

6 6.



მ-13 №-ში მოთავსებულ რეზიუმის აღწერა:

აუი შეიღი დედ-მამის შავინებელია




# „ნაკადული“-ს რედაქციაში



და

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის ძალაშიაში იუიღებთ  
შემდეგი წიგნები:

- 1) **ტომის თავგადასავალი**, — თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ.  
გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) **რას გვიამბობს ოთახი**, — თხზ. ავენაროუსისა, თარგმ.  
გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი**, — ფასი . . . 1 მ. 20 კ.
- 4) **სკრუჯი და მარლი**, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ  
დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . 25 კ.
- 5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** პ. ჯ. ან-  
დერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა  
და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 6) **ბავშვობა და სიყრმე**, — მოთხრობა ლევ. ტოლსტო-  
ისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.
- 7) **ორი მხატვარი**, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . 15 კ.
- 8) **სამშობლო ბუნების სარკე**, დასურათებული საყმა-  
წვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. . . 30 კ.
- 9) **შობა**, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნა-  
კაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოსტი**,  
ორი მოთხრობა ოსკარ უილდისა, თარგმ. ივ.  
მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 11) **დათო**, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მამიებელი,  
თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 12) **მოთხრობები**, — ლაგერლედისა და სხვა უცხო მწერ-  
ლებისა . . . . . 5 კ.
- 13) **ივავარაქნი**, — 125 დასურათებული, პატარა მო-  
თხრობა, ავტორის სურათით, ალ. შირიანიშვილი-  
სა, ფასი. . . . . 75 კ.
- 14) **ბიძია თომას ქობი**, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ-  
თა განათავისუფლების დროისა, სურათებითა და  
ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა . . . 1 მ. 25 კ.



# 1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადული“-ზე

← წელიწადი მიათა ←

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეყებათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

**36** სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“ (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნახევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის

**24** წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

სახლვარ გარედ: ერთი წლით 7 მ. ნახევარი წლით 4 მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

### ხელის მოწერა შეიძლება

**ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისიდორე კვიციანიძესთან, შ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან.

**სამტრედიისში** — ვლ. ნაკვალაძესთან. — **შოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათუმში** — კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინსარაძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** — ლ. ლანჩხუთში — ლეო. იმნაძესთან. **თელავში** — ვასო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან.

**ბაქოში** — ვასილ აბელედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში** — ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — კნ. მარიაჟ ანჩაბაძესთან. **კიათურაში** — ივანე გომელაურთან. **განჯაში** — ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან. **სიღნაღში** — ნ. ახმეტელაშვილთან.

**ყარსში** — ივ. საათაშვილთან. **აღმქსანდრაპოლში** — ს. შატ. ბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ჰევენიძესთან. **ჩაქაში**. — მასწავლებ. ილია გოგიასთან

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

